ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 49
(11 710)

1 - 3 ივლისი, 2003 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ბოლნისი საერთაშორისო მატჩის მოლოდინშია

კარგია, კარგია! - ასეთი სიტყვებით გამოემართა გუშინ, ბოლნისიდან თბილისისაკენ, უეფას სტადიონებისა და დაცვის კომიტეტის წევრი ბელგიელი კარელ ვერტონგენი. სტუმარი საქართველოს კონკრეტული მიზნით ეწვია. მან, უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩისთვის ბოლნისის თემურ სტეფანიას სახელობის სტადიონის მზადყოფნა შეამოწმა. როგორც ჩანს, „სიონის" მესვეურთა სურვილი სლოვაკურ „პუხოვს" შინ უმასპინძლონ, ასრულდება.

უეფას წარმომადგენელი კმაყოფილი დარჩენილა სტადიონზე მიმდინარე სამუშაოების ტემპებით და ხარისხით. წინასწარ ცნობილია, რომ იგი უეფაში დადებით დასკვნას წარადგენს და ბოლნისელებს შეეძლებათ უეფას თასზე მოასპარეზე „სიონს" შინაურ კედლებში, უქომაგონ. უეფადან, ოფიციალური პასუხი სფფ-სათვის რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

# ნომერში წაიკითხავთ:

- თბილისელი თანამედროვე ხუთჭიდი დაბრუნდა
- შეხვედრა მსოფლიო უნივერსიადის გმირებთან
- დიდი ამარილდო
- „ლომი არ კვდება, მას მხოლოდ სძინავს"
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი

# SOS!

## ვინ შეესია დიღმის ტყე-პარკს?

1980 წლამდე დიღმის მასივის ტყე-პარკი და მისი შემოგარენი ქალაქის გამწვანების და სანერგე მეურნეობის განკარგულებაში იყო. იმავე წელს თბილისის გამწვანების ზოლად გამოცხადდა ტერიტორიის 20 ჰექტარი. ბუნების წიაღი სპორტულ და გამაჯანსაღებელ ობიექტადაც გადაიქცა. აქ იკავებდა ჯანმრთელობას სხვადასხვა ასაკის ადამიანები, გაიხსნა გამაჯანსაღებელი ჯგუფები, ტარდებოდა მასობრივი შეჯიბრებები სპორტის ხელმისაწვდომ სახეობებში, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ახალგაზრდები... 1987 წელს, ტერიტორიის გარკვეული ნაწილი თბილისის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გადაეცა საქართველოს სპორტის კომიტეტს და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, მოეწყო სპორტული დიდების ხეივანი. ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონებმა საკუთარი ხელით დარგეს მწვანე ნარგავები. აქედან დაულოცეს გზა 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრების წინ საქართველოს სპორტულ დელეგაციას.

დღეს ამ ტერიტორიაზე შემორჩა მინიფეხბურთის, ჩოგბურთისა (2) და ბადმინტონის (2) მოედანი. მუშაობს სპორტული კლუბი „აისი", რომელსაც შეფობს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. კურატორობას კი კლუბის მუშაობას უწევს სეოკის აღმასრულებელი დირექტორი დავით კინწურაშვილი.

აი, ასეთ ადგილს უყურებს ბევრი მუშტრის თვალით და მოსახლეობის ინტერესების გაუთვალისწინებლად მიმდინარეობს ტერიტორიის მიტაცება სამოსახლოდ თუ კომერციული საქმიანობისთვის. თბილისის საკრებულო, იმედია, ამ საკითხშიც გამოიჩენს ჩვეულ პრინციპულობას.

თორნიკე ბაჩეჩილაძე

# ზაზა ფაჩულია „ორლანდოში"



ზაზა ფაჩულია მომავალ საკალათბურთო სეზონში ნბა-ში ითამაშებს. ქართველი გიგანტი ნბა-ს წლევანდელ დრაფტზე „ორლანდომ" ამოარჩია. შარშანდელ დრაფტზე ნიკოლოზ ცქიტიშვილის გამოჩენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ვიდრე ფაჩულიას გადასვლას „ორლანდოში", მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ორლანდო" საკმაოდ ძლიერი გუნდია, ვიდრე „დენვერი", ანდა, „მაიამი". ამერიკელი სპეციალისტები თვლიან, რომ წლევანდელ დრაფტზე ზაზა ფაჩულიას, რის გეინისა და კეტ ბოგანის შეძენით „ორლანდომ" კარგი შევსება მიიღო.

თავად ფაჩულიას თქმით, ის თავს არ დაზოგავს და საკუთარ შესაძლებლობებს ნბა-ში სრულიად წარმოაჩენს.

ზაურ (ზაზა) ფაჩულია ვლადიმერ სტეფანიასა და ნიკოლოზ ცქიტიშვილის შემდეგ მესამე ქართველია, რომელიც ნბა-ში ითამაშებს.

## შეკითხვა „ლელოს"!

***შეკითხვა:*** *ზაზა ფაჩულია 42-ე ნომრად გავიდა დრაფტზე. გთხოვთ მიპასუხოთ რას ნიშნავს ეს ნომერი?*

გოგა ტუკვაძე, თბილისი

***პასუხი:*** ნბა დრაფტის დროს მხედველობაში იღებს რეიტინგს. 42-ე ნომერი ეს ნიშნავს, რომ დრაფტში მონაწილეთა შორის ზაზა ფაჩულია 42-ე იყო.

# პირველი ლიგაც კენჭს იყრის

*ხუთშაბათს, 3 ივლისს, 12 საათზე,* სფფ-ს სააქტო დარბაზში ფეხბურთის განვითარებისა და საშეჯიბრო კომიტეტის მესვეურები, თავს მოუყრიან პირველი ლიგის კლუბების ხელმძღვანელობას კენჭისყრის მოსაწყობად. თითოეული კლუბის წარმომადგენელი კენჭისყრის შედეგად შესაბამის ნომერს მიიღებს და XV ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის გუნდებიც დაწყვილდებიან.

# ნონას თასზე



საჭადრაკო კლუბ „ნტნ"-ში ჩატარდა „ნონას თასის" გათამაშების ეგიდით საჭადრაკო ფესტივალის ნახევარფინალური ეტაპი.

ქალთა შორის შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა. თანაც ორი დღის განმავლობაში, რადგანაც თითოეულ მოჭადრაკეს მოსაფიქრებლად 15 წუთი ეძლეოდა და ცხადია, ამ რეგლამენტით ერთ დღეში რამდენიმე ტურის ჩატარება შეიძლება.

პირველი ადგილი 8,5 ქულით **ნინო ხურციძემ** დაიკავა, ლიდერს ქულანახევრით ჩამორჩა სოფო გვეტაძე, ხოლო 6,5, 6,5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილები გაიყვეს მაია ლომინეიშვილმა, ანა მათნაძემ და სოფიკო ნიკოლაძემ. უკეთესი კოეფიციენტი ლომინეიშვილს აღმოაჩნდა და მას მესამე ადგილი მიეკუთვნა. ხუთივე მოჭადრაკე იასპარეზებს „ნონას თასის" მომდევნო ეტაპზე, რომელიც სექტემბერში დაიწყება.

# ქართული „შვიდკაცას" წარმატება

***ქართული რაგბის ისტორიაში კიდევ ერთი წარმატება მოვიდა. ქართულმა „შვიდკაცამ" ევროპის ჩემპიონატის სერიის თბილისური ეტაპი მოიგო.***



ქართული რაგბის დღევანდელი და ხვალინდელი დღე!

ფოტოები ელდარ მალხაზიშვილისა



კლოდ სორელი კმაყოფილია...



ეს იყო საქართველოში ჩატარებული პირველი საერთაშორისო სარაგბო ტურნირი და რაოდენ სასიხარულოა, რომ ქართველმა მორაგბეებმა იგი გამარჯვებით „დააჰაშნიკეს". შეჯიბრება ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა „ლოკომოტივის" სტადიონზე. პირველ დღეს ჯგუფური ტურნირი ჩატარდა.

„ა" ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა აზერბაიჯანელთა გუნდი „მიწასთან გაასწორა" — 66:0, მეორე მატჩში ქართველებმა რუმინელებს სძლიეს 40:7, შემდეგ უკრაინელებიც „მიაყოლეს" — 21:5 და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი ჯგუფში. მეორე ადგილზე უკრაინელები გავიდნენ.

„ბ" ჯგუფში, როგორც მოსალოდნელი იყო, ფრანგებმა ყველა შეხვედრა მოიგეს, ხოლო მეორე ადგილი იტალიელებს ერგოთ.

კვირას გაიმართა ნახევარფინალური მატჩები. ქართულმა „შვიდკაცამ" იტალიის ნაკრები გაანადგურა - 29:0, ხოლო ფრანგებმა უკრაინელებს სძლიეს 12:0.

ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ საქართველოსა და საფრანგეთის ნაკრებები. თამაში „ბორჯღალოსნებმა" კარგად დაიწყეს და ურჯუკაშვილის ლელოთი დაწინაურდნენ — 7:0, თუმცა შუა ტაიმში მასპინძლები დაიბნენ, რითაც ფრანგებმა კარგად ისარგებლეს და ორი ლელო გაიტანეს. ტაიმის ბოლოს ირაკლი მაჩხანელმა გამარჯვების იმედი დაუბრუნა თანაგუნდელებს — 12:14.

მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრები უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა, თუმცა ანგარიშის შეცვლა კარგა ხანს ვერ მოახერხა. ბოლოს ისევ მაჩხანელმა გაიტანა ლელო, რაშიც მალე გუნდიშვილმა და აბუსერიძემ მიბაძეს და ქართველმა მორაგბეებმა გაიმარჯვეს 29:14.

ევროპულ სერიაში საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად ქართველებს კიდევ ერთი მსგავსი ტურნირის მოგება მოუწევთ, რომელიც გერმანიის ქალაქ ჰაიდელბურგში ჩატარდება.



მთავარი ჯილდო თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ გადასცა „ბორჯღალოსნებს"



ფრანგები ბიძინა გეგიძემ დააჯილდოვა

თბილისურ ტურნირში „ბორჯღალოსნები" ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ირაკლი მაჩხანელი, ირაკლი გუნდიშვილი, გია ლაბაძე, ირაკლი აბუსერიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ვასილ კაცაძე, ბესიკ ხამაშურიძე, ირაკლი გიორგაძე, დავით კიკნაძე, თედო ზიბზიბაძე.

თენგიზ ჩოგანიძე

# მილოცვები



საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს ამავე დეპარტამენტის უფროს სპეციალისტს, ვეტერან სპორტსმენს, ბადმინტონში საქართველოს ჩემპიონს, მშვენიერ ქალბატონს **ევგენია (ჟანა) გრიქუროვას.**

XXXX

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა სპორტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის **ევგენია გრიქუროვა** დააჯილდოვა დეპარტამენტის სიგელით.

XXX

„ლელოს" რედაქცია შვილიშვილის, პატარა ლუკას შეძენას ულოცავს კოლეგას საქართველოს რადიოს სპორტულ გადაცემათა რედაქციიდან **თამილა კახიძეს.**

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 8 თვე გვაშორებს

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 1 თვე დარჩა

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!

## უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

## სოკ-ის დაარსების დღეს მიეძღვნა

მთელს მსოფლიოში ტრადიციულმა მასობრივმა ღონისძიებამ, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დაარსების დღეს ეძღვნება, თერჯოლაშიც ჰპოვა დიდი გამოხმაურება. 120 რბენის მოყვარული მონაწილეობდა მძლეოსნურ კროსში, თერჯოლის შემოსახვევიდან გამგეობის შენობამდე.

ღონისძიება ჩატარდა ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თერჯოლის რაიონული განყოფილების ინიციატივით (გამგე კახი კვატაია). გენერალური სპონსორი იყო შპს „გამმა-ვუდი“ (დირექტორი გელა ტალახაძე).

4000 მეტრზე კროსში პირველი ადგილი დაიკავა სოფ. ნახშირღელის წარმომადგენელმა გაგა ხაჭაპურიძემ 14.10,0, მეორე იყო გოდოგნელი ვალერი შუკაკიძე — 14.16,4, მესამე — ნახშირღელელი გოჩა ხუჯაძე — 14.30,6, მეოთხე — ასევე ნახშირღელელი გაგა ლანჩავა, მეხუთე — მეექვსე ადგილები გაიყვეს რუფოთელმა გოდერძი ღიბრაძემ და გოდოგნელმა გიორგი ცირეკიძემ.

გოგონებში 2 კმ-ზე რბენაში პირველი იყო ნათია მაღლაკელიძე — 8.42,4, მეორე — თამთა გიორგაძე — 8.53,2 (ორივე — სოფ. ბარდუბანი), მესამე — ჩხარელი თამილა გაბრიჭიძე — 9.12,5.

უმცროსთა ასაკში 2 კმ-იანი მანძილი პირველმა გიორგი მეგრელმა დაფარა, მეორე როლანდ ობოლაძე იყო, მესამე — გიორგი მაკარიძე.

გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულებს ფასიანი სამახსოვრო საჩუქრები (ვიდეოაპარატურა, მაგნიტოფონები, ფოტო აპარატები) გადასცა შპს „გამმა-ვუდის“ დირექტორმა გელა ტალახაძემ. მათვე გადაეცათ აგრეთვე იმერეთის რეგიონის ოლიმპიური კომიტეტის თერჯოლის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, ფიზკულტურის კომიტეტის, ბავშვთა სპორტული სკოლის, ქალაქის საკრებულოს მიერ დაწესებული პრიზები და დიპლომები.

**კოტე ჩარექიშვილი**
**შეჯიბრების პასუხისმგებელი მდივანი.**

მძლეოსნობა. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი

# დიდი გამოცდა სტამბულში

თურქეთი, კერძოდ, სტამბული, 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ერთ-ერთი პრეტენდენტია, ამიტომ იქაურები ცდილობენ ყველა მაღალი რანგის შეჯიბრება ჩაატარონ სანიმუშოდ და უმაღლეს დონეზე. მძლეოსანთა ეს ასპარეზობა სტამბულში გაიმართა ოლიმპიურ სტადიონზე, რომელიც მართლაც ჩინებულია სასპარეზოდ. ჩემპიონატისთვის საგანგებოდ გაიხსნა ახალი სასტუმროც.

ევროპის მძლეოსანთა საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობდა 12 გუნდი — მოლდავეთიდან, სომხეთიდან, საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, ბოსნია-ჰერცოგოვინიდან, ალბანეთიდან, ხორვატიიდან, მაკედონიიდან, რუმინეთიდან, იუგოსლავიიდან, კვიპროსიდან და თურქეთიდან.

გთავაზობთ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის თამაზ მდინარაძის კომენტარს: „იმ პირობების გათვალისწინებით ჩვენ რომ ვემზადებით, შედეგებით არ ვარ უკმაყოფილო. განსაკუთრებით კარგად იასპარეზეს ქალებმა. კმაყოფილი ვარ, რომ ნაკრების ლიდერებმა დუბინამ, ქევხიშვილმა, ილარიანმა და ტურიაცკომ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი საკმაოდ მაღალ შედეგებში გამოავლინეს. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ვეტერანი სპორტსმენის ზიგმუნდ ზილბერშტეინის თავდადება, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს ახალგაზრდა ათლეტებს აკლიათ. სასიხარულოა, რომ ჩვენი გუნდი სპეციალისტებმა ახალგაზრდულ პერსპექტიულ გუნდად აღიარეს, რასაც გვილოცავდნენ კიდეც“.

● ***ფიქრობთ თუ არა, რომ გუნდს უკეთ შეეძლო გამოსვლა?***

— ვაჟებს შეეძლოთ უკეთ გამოსვლა.

● ***ოლიმპიურ თამაშებამდე რჩება წელიწადზე ცოტა მეტი. მოესწრება ხარვეზების გამოსწორება?***

— არა მგონია სავარჯიშო პირობების გაუმჯობესებას ამ მოკლე დროში საშველი დაადგეს. ისევ და ისევ თავდაუზოგავი მზადებაა საჭირო იმ პირობებში, რაც გაგვაჩნია. მადლობა მინდა ვუთხრა მწვრთნელებს, რომლებიც არანორმალურ პირობებშიც კი გვერდში უდგანან ფედერაციას.

ახლა კი მკითხველებს გავაცნობთ სტამბულში საქართველოს სპორტსმენთა მიერ ნაჩვენებ ყველა შედეგს.

**კვარცხლბეკი**

**ქალები.** 100 მ — მარიამ ინაშვილი — 12.66 (IX ადგილი); 200 მ — ეკატერინე ტყემალაძე — 25,35, (VI); 400 მ — ტყემალაძე — 57,09 (XI); 800 მ — ქეთი კუპატაძე — 2.29,60 (XI); 1500 მ — კუპატაძე — 5.07,98 (XI); 3000 მ — ნინო თათრულაიძე — 10.18,43 (VII); 3000 მ. წინაღობებით — სოფიო ლაბაძე — 12.28,22 (IX); 5000 მ — თათრულაიძე — 18.19,30 (VII); სიმაღლე — ია დარახველიძე — 170 სმ (VIII), სიგრძე — იულია დუბინა — 582 (VII); სამხტომი — დუბინა — 13.02 (III); ბირთვი — მარიამ ქევხიშვილი — 14.92 (II); ბადრო — ქევხიშვილი — 36.49 (VIII); ურო — ქევხიშვილი — 25,22 (X); 4X100 ([illegible], ინაშვილი, დუბინა, ტყემალაძე — 48,12 (VI); 4X400 (იგივე შემადგენლობა) — 3.50,18 (VIII).

**ვაჟები.** 100 მ — ბადრი ბადრიძე — 10,98 (X); 200 მ — ბადრიძე — 21,64 (VII); 400 მ — ამირან კირვალიძე — 51.03,1 (X); 800 მ — ალეკო მურჯიკნელი 2.00.06 (XII); 1500 მ — რამაზ ბექაური — 4.07,89 (XI); 3000 მ — ზიგმუნდ ზილბერშტეინი — 8.37,97 (VIII); 3000 მ. წინაღობებით — ზილბერშტეინი — 8.10.15 (V); 5000 მ — ზილბერშტეინი — 14.90,63 (V); 400 მ. თარჯი — სერგეი ტურიაცკო — 53,00 (IV); 110 მ. თარჯი — დავით ილარიანი — 14,01 (III); სიმაღლე — ილარიანი — 1.85 (VIII); სიგრძე — ილარიანი — 7.13 (VIII); სამხტომი — ტურიაცკო I 15.0 (VIII); ბირთვი — მამუკა ტულუში — 16,15 (VII); ბადრო — ტულუში — 34.04 (XI); ურო — ლერი ჩიტაიშვილი — 60,40 (VI); 4X100 მ. (კირვალიძე, ილარიანი, ტურიაცკო, ბადრიძე) — 42,70 (VIII); 4X400 მ (იგივენი) — 3.20,88 (VII); შუბი — როსტომ ჰინჭარაული — 61,27 (VI).

**გუნდური. ქალები:** 1. ესტონეთი, 2. თურქეთი, 3. ისრაელი... 7. საქართველო. **ვაჟები:** 1. რუმინეთი, 2. ხორვატია, 3. თურქეთი.. 9. საქართველო.

**მარიამ ქევხიშვილი,**
**„ლელოს“ სპეც. კორ. სტამბული.**



ფოტო რობერტ ბაგოიანისა

საქართველოს რჩეული მძლეოსნები მწვრთნელებთან ერთად

**თბილისში „დინამოს“ საჩოგბურთო კორტებზე დასრულდა მოზარდთა და ბავშვთა ტურნირი დევიზით „მომავალი ვარსკვლავები“. გაგაცნობთ შედეგებს: გოგონები. 1993-94 წ. დაბადებულნი: 1. მილენა ტამიროვა, 2. ანი ბერიშვილი, 3. ბაბილინა მაჩაიძე; 1991-92 წ. დაბადებულნი: 1. დიანა დავითაია; 2. ანი ჯიქია, 3. მანანა ვახტანგიშვილი; 1989-90 წ. დაბადებულნი: 1. მაგდა ოქრუაშვილი, 2. მარი კუპრეიშვილი, 3. ანი გველესიანი. ბიჭები. 1993-94 წ. დაბადებულნი: 1. ლუკა ფილფანი, 2. ნიკა ციციშვილი, 3. ბაჩო ქვათაშიძე; 1989-90 წ. დაბადებულნი: 1. ნუგზარ ბაგაური, 2. რეზო ოსაძე, 3. ლადო სანაძე.**



ფოტო რობერტ ბაგოიანისა

კიკბოქსინგი

## ლამაზი სანახაობა იმედისმომცემი რეზერვით

კიკბოქსინგში საქართველოს წლევანდელმა ეროვნულმა ჩემპიონატმა ერთგვარი საანგარიშო ფორმა მიიღო. რინგზე ვიხილეთ საქართველოს რაიონებისა და ქალაქების ნაკრები გუნდების და სპორტული კლუბების ოთხასამდე სპორტსმენი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა აგრეთვე პანკისში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილებიც.

11-12 წლიანთა შორის წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: თბილისელები ცოტნე სამუშია, ვალერი სტურკი, დავით ოქრიაშვილი, ბექა გოგალაძე, რევი და მიშიკო ონიანები. 13-14 წლიანებში: თბილისელები მიშიკო რატიანი, რომა ნახიანი, არტემ აგაიანი და დათო ჯავახია, დედოფლისწყაროელები: ლევან ფხოველიშვილი და მედგარი მერკვილიშვილი, რუსთაველი ზვიად გასანოვი, ზესტაფონელი ანზორ სხილაძე, სენაკელი ირაკლი ხურცილავა და ბათუმელი ლაშა ტულუში; 16-17 წლიანებში: თბილისელები ლევან მონასელიძე, გოჩა ასუმბანი და პაატა გუგუჩია, დედოფლისწყაროელები: აკაკი ფიროსმანიშვილი, რამაზ ლვინიაშვილი და რამაზ ივანიძე; უფროს ასაკში: ემზარ კიკნაძე (ქუთაისი), გიორგი ჭიღლაშვილი (თბილისი), რამაზ ჭიაურელი (საგარეჯო), ლადო ნადირაშვილი და ლევან ბოსტოღანაშვილი (ორივე — დედოფლისწყარო), მინდია ბოლქვაძე, ჯონი ემირიძე (ორივე — ბათუმი).



## ლელო — მატიანე
## 50 წლის წინათ...

**სოხუმი.** აფხაზეთის პირველობაზე მოტოსპორტში 100 კმ დისტანციაზე ფინიშთან პირველი იყო დინამოელი ა. გავრიკოვი – 1:18,5 წ. მეორე ადგილზე გავიდა გ. მურადხანიდი, მესამეზე – კ. შენგელია (ორივე – „ისკრა“).

50 კმ რბოლა, რომელიც სოფ. ლეჩქოფის მიდამოებში ჩატარდა, მოიგო დინამოელმა ვ. რუხაძემ.

**ახალქალაქი.** პედაგოგიური სასწავლებლის პირველობაზე ფრენბურთში, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებს შორის, გაიმარჯვეს მეორეკურსელებმა. მძლეოსნობაში საუკეთესონი იყვნენ ვაჟებიდან – ვ. ლომსაძე (სიგრძეზე ხტომა), თ. მოსიძე (სიმაღლეზე ხტომა), ქალებიდან ვ. მეტრეველმა აჯობა ყველას, როგორც სიგრძეზე ისე სიმაღლეზე ხტომაში.

**სამტრედია.** ჩატარდა რაიონის სასკოლო პირველობა 100, 200 და 800 მ. რბენაში, ხტომებში, ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში. ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ქალაქის ვაჟთა საშუალო სკოლის გუნდმა, გოგონებში – რკინიგზის საშუალო სკოლამ.

**ხაშური.** აქ გაიმართა კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდების ამხანაგურიი შეხვედრები. ვაჟებში გაიმარჯვეს გორელებმა – 45:38, ქალებში – მასპინძლებმა – 34:31.

# თანამედროვე ხუთჭიდის დაბრუნება საქართველოში

ჩატარდა ქ. თბილისის პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში 60-ზე მეტი სპორტსმენის მონაწილეობით, რაც სარეკორდოა. ამდენი მონაწილე სპორტის ამ სახეობას ჩვენში საბჭოთა პერიოდშიც არა ჰყოლია. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ შეჯიბრება ოთხჭიდში (ფარიკაობა, სროლა, ცურვა — 200 მ, რბენა — 3000 მ.) და ორჭიდში (ცურვა, სირბილი) გაიმართა.

შეჯიბრება იყო პირველი, რომელიც ახლადდაფუძნებულმა თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ეროვნულმა ფედერაციამ ჩაატარა.

ოთხჭიდელთა შორის სროლაში საუკეთესო შედეგი (7) 200 შესაძლებლიდან ლ. კაკიაშვილმა აჩვენა. ფარიკაობაში I-II ადგილი კ. გოცირიძემ და ლ. კაკიაშვილმა გაინაწილეს. ცურვაში გამარჯვება მ. მახაშვილმა მოიპოვა, მისი შედეგია 2.25.8. რბენაშიც პირველი ისევ მახაშვილი იყო — 9 წ. 50 წამი.

საბოლოოდ ოთხჭიდის ჯამში გამარჯვება ლევან კაკიაშვილს (სტუ) ერგო, რომელმაც 3812 ქულა დააგროვა. მეორე ადგილი 3758 ქულით, წილად ხვდა მამუკა მახაშვილს (ფიზ. აღზრდისა და სპორტის კოლეჯი), მესამე ადგილი 3669 ქულით კახა გოცირიძემ (თბ. მე-17 საშ. სკოლა) დაიკავა.

ორჭიდელები დაყოფილი იყვნენ რამდენიმე ჯგუფად — გოგონები 8-10 და 13-15 წელი; ბიჭები — 8-10, 11-12, 13-16 წლები.

უფროსი ასაკის გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა თეონა მელიქიშვილმა (თბ. 48-ე საშ. სკოლა), მეორე ადგილზეა მარიამ ნაცვლიშვილი (თბ. 143-ე საშ. სკოლა), მესამეზე — მარიანა ვოსკანიანი. (თბ. 188-ე საშ. სკოლა).

8-10 წლის ასაკის გოგონები და ბიჭები ერთ ჯგუფში ასპარეზობდნენ. აქ ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: 1. გიორგი ქობულაძე (143-ე სკ.), 2. ირაკლი სვანიშვილი (143-ე სკ.), 3. მამუკა ნაცვლიშვილი (142-ე სკ.).

11-12 წლის ასაკის ბიჭებში პირველი ადგილი დაიკავა ნიკა ბექუაშვილმა (184-ე სკ.), მეორე იყო — ვანო ორმოცაძე (136-ე სკ.), მესამე — ნიკა ღუდუშაური (173-ე სკ.).

13-16 წლიანები: 1. ზურა ჰულუხაძე (143-ე სკ.), 2. გაგა ლასარია, (142-ე სკ.), 3. თორნიკე მელაძე (სკოლა ლიცეუმი „ლამპარი“).

უნდა ითქვას, რომ 1992 წლიდან თანამედროვე ხუთჭიდში არც რესპუბლიკის და არც ქალაქის პირველობა არ ჩატარებულა, ამიტომ მადლობის ღირსია ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის ხელმძღვანელობა, რომლის ხელშეწყობით მიმდინარეობდა ეს ღონისძიება. არ შეიძლება არ აღინიშნოს სპორტკლუბ „რიოს“ კოლექტივის და პირადად მწვრთნელ ირაკლი ქორჩილავას ენთუზიაზმი და მიკერძოებული დამოკიდებულება თანამედროვე ხუთჭიდისადმი. კლუბი არ გაურბის პრობლემებს, რათა რაც შეიძლება მეტი ბავშვი აზიარონ სპორტის ამ რაინდულ სახეობას.

შეჯიბრება ჩატარდა კარგ ორგანიზაციულ დონეზე (მთ. მსაჯი გ. კალმახელიძე) საკმაო რაოდენობის მაყურებლის თანდასწრებით და ასპარეზობისათვის დამახასიათებელი გამხნევებითა და შეძახილებით.

შეჯიბრებამ რამდენიმე პერსპექტიული სპორტსმენი წარმოაჩინა, რომელთა დასახელებიდან ჯერჯერობით თავს შევიკავებთ.

რაც შეეხება შედეგებს, როგორც ანგარიშიდან ჩანს, ისინი შორსაა ქართველი ხუთჭიდელების ჩვეული შედეგებიდან. თუმცა ეს არც არის საკვირველი, ფაქტოვრივად, თანამედროვე ხუთჭიდი ხომ ახლად იდგამს ფეხს საქართველოში.

**ჯუანშერ ზალდასტანიშვილი,**
**ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი.**



წინა პლანზე თორნიკე მელაძე



INTERTOTO CUP

# ულაჯობის სენი

**პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩი.**
**თბილისი. 28 ივნისი. ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი.**

## ვიტ ჯორჯია (საქართველო) – პაშინგი (ავსტრია) 2-1 (პირველი მატჩი 0-1)

***ვიტ ჯორჯია:*** მერლანი, ჯ. მუჯირი, ინწკირველი (კვახაძე 65), ლ. მერებაშვილი (დათუნაიშვილი 25), დ. დოლიძე, დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, გველესიანი, გოჩაშვილი (ე. მერებაშვილი 70), ლ. მელქაძე, მარცვალაძე.

***პაშინგი:*** შიკლგრუბერი, კაფკასი, კოვაჩევიჩი, ვისიო, როტბაუერი, ჰორვატი (ბუბენიკი 82), პირკნერი, რიგლერი, დატორუ (ატალაი 58), მეირლები, კიესენბნერი (მეირი 73).

***გოლი:*** 1-0 მელქაძე (52), 1-1 ჰორვატი (62), 2-1 ე. მერებაშვილი (90).

***გააფრთხილეს:*** ე. მერებაშვილი (70), ნოზაძე (75).

***მსაჯები:*** რ. მალეკი, ტ. რუსეკი, კ. მირმუსი (ყველა - პოლონეთი), ა. შილაკაძე (საქართველო).

***უეფას დელეგატი:*** ი. პოუჩეკი (ჩეხეთი).

სამწუხაროა, როდესაც მარცხდები იქ, სადაც არ უნდა დამარცხდე. დაუძლეველი და გადაულახავი ავსტრიულ გუნდს არაფერი სჭირდა. ტურნირისადმი სტუმართა დამოკიდებულება იმითაც გამოიხატებოდა, რომ ისინი თბილისში მატჩამდე სამი საათით ადრე ჩამოფრინდნენ, თუმცა ეს, თითქმის, ნაღდი შანსი ჩვენმა მესამეადგილოსანმა გუნდმა, მხოლოდ სანახევროდ გამოიყენა. მოვიგეთ, მაგრამ, ასე ძვირადღირებული გოლი შინაურ კედლებში, მაინც გავუშვით. გოლი, რომელმაც ტურნირს ნაადრევად ჩამოგვაშორა და ქართულმა გუნდმა ევროთასებზე ასპარეზობა მარცხით დაიწყო. ნუ ვიქნებით პრეტენზიულები, ის მივიღეთ, რასაც თამაშით ვიმსახურებდით. სამწუხაროდ, ულაჯობის სენი ჩვენებურ კლუბებს ჯერაც ვერ დაუძლევიათ, რაც ყოველი საერთაშორისო მატჩისას თვალნათლივ ვლინდება. მატჩს ასაღწერი ბევრი არაფერი ჰქონდა. დუნე, ორმხრივი შეცდომებით მიმდინარე შეხვედრაში მომენტებს კი ქმნიდნენ ფეხბურთელები, მაგრამ დამაგვირგვინებელ ეპიზოდებში ოსტატობის, კლასის ნაკლებობა, აშკარად ვლინდებოდა. გუნდები, თითქმის, თანაბარ ვითარებაში იყვნენ. ახალი სეზონი, არც ჩვენთან, არც ავსტრიაში ჯერ არ დაწყებულა, ის უპირატესობა კი, რასაც საკუთარი სტადიონი და ავსტრიელთა მიერ ე.წ. აკლიმატიზაციის გაუვლელობა ჰქონდა, ვერ გამოვიყენეთ. გამართლებით კი, როგორც წესი, ძლიერებს უმართლებთ. ასეთი კი ჩვენდა სამწუხაროდ, სტუმართა გუნდი აღმოჩნდა.

### ინტერტოტოს თასი

***პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩები. 28-29 ივნისი***

ვიტ ჯორჯია (საქართველო) — პაშინგი (ავსტრია) 2-1, (0-1);
გლორია (რუმინეთი) — ბანგორი (უელსი) 5-2, (1-0);
იორგრიტე (შვედეთი) — ქალგირისი (ლიტვა) 3-0, (1-1);
ეთნიკოსი (კვიპროსი) — ეტო (უნგრეთი) 2-2, (1-1);
კოტაიკი (სომხეთი) — ბრნო (ჩეხეთი) 3-2, (0-1);
ომაგი (ჩრდ. ირლანდია) — შახტიორი (ბელარუსი) 1-7, (0-1);
აკურიერი (ისლანდია) — სლობოდა (ბოსნია) 1-1 (2-3პ), (1-1);
მაკაბი (ნეტანია, ისრაელი) — პარტიზანი (ალბანეთი) 3-1, (0-2);
ჰიბერნიანსი (მალტა) — ალიანსი (ფინეთი) 1-1, (0-1);
ზაგრები (ხორვატია) — კოპერი (სლოვენია) 2-2, (0-1);
პობედა (მაკედონია) — სპარტაკი (სლოვაკეთი) 2-1, (5-1);
ოლიმპიაკოსი (კვიპროსი) — დუბნიცა (სლოვაკეთი) 1-4, (0-3);
გი გოტუ (ფარერები) — დაჩია (მოლდოვა) 0-1, (1-4);
ტრანსი (ესტონეთი) — ოფკ (სერბეთი) 3-5, (0-0);

***შენიშვნა:*** სერბეთში ამ გუნდების პირველ მატჩში არეულობის გამო უეფამ სერბებს მოგება, 6-1 გაუუქმა და ტექნიკური წაგება 0-3 ჩაუთვალა, ოფკ-ს აპელაციის შემდეგ უეფამ პირველი მატჩის ანგარიში საერთოდ გააუქმა და თავისი გადაწყვეტილებაც შეცვალა. შემდეგ ეტაპზე გამსვლელი გუნდი ერთმა მატჩმა გამოავლინა.

ვილი (შვეიცარია) — დინაბურგი (ლატვია) 2-0, (0-1);
შემროკი (ირლანდია) — ოდრა (პოლონეთი) 1-0, (2-1);
ლიერსი (ბელგია) — ენკამპი (ანდორა) 4-1, (3-0);
უნიონი (ლუქსემბურგი) — სუტიესკა (სერბეთი) 1-1, (0-3);
მარეკი (ბულგარეთი) — ვიდეოტონი (უნგრეთი) 3-2 დ.დ. (2-2);
ტობოლი (ყაზახეთი) — პოლონია (პოლონეთი) 2-1, (3-0);
ჩახლაული (რუმინეთი) — ტამპერე (ფინეთი) 2-1, (0-1);

#### II რაუნდი

აკრატიტოსი (საბერძნეთი) — ალიანსი (ფინეთი)
იორგრიტე (შვედეთი) — ნანტი (საფრანგეთი)



სინოტი (ჩეხეთი) — ოფკ (სერბეთი)
რასინგი (ესპანეთი) — ეტო (უნგრეთი)
ტუნი (შვეიცარია) — ბრნო (ჩეხეთი)
ბრეშია (იტალია) — გლორია (რუმინეთი)
შახტიორი (ბელარუსი) — სიბალია (ხორვატია)
პობედა (მაკედონია) — პაშინგი (ავსტრია)
სლობოდა (ბოსნია) — ლიერსი (ბელგია)
დაჩია (მოლდოვა) — პარტიზანი (ალბანეთი)
კოპერი (სლოვენია) — დუბნიცა (სლოვაკეთი)
ტამპერე (ფინეთი) — სუტიესკა (სერბეთი)
სტ. ტრუიდენი (ბელგია) — ტობოლი (ყაზახეთი)
მარეკი (ბულგარეთი) — ვოლფსბურგი (გერმანია)
ლიბერეცი (ჩეხეთი) — შემროკი (ირლანდია)
ვილემი (ჰოლანდია) — ვილი (შვეიცარია)

***პირველი მატჩები 5 და 6 ივლისს გაიმართება, განმეორებითი - 12 და 13 ივლისს.***

# თბილისის „დინამო" მოყვარულებს დაერია

რუიტში მყოფმა თბილისის „დინამომ" საკონტროლო მატჩები გამართა სამოყვარულო გუნდებთან და ასტრონომიული ანგარიშით მოუგო ჯერ „ჰელას ვაინ ბლინგენს" 12-0, მერე „ნეკერჰაუზენი" დაარბია 17-0.

პირველ შეხვედრაში გოლები გაიტანეს: 3-3 ლაკიჩმა და იაშვილმა, 2 — სამხარაძემ, 1-1 ამისულაშვილმა, ბურდულმა, ბობოხიძემ, ანჩაბაძემ. მეორე მატჩში ოთხი გოლი ახალაიას ანგარიშზეა, სამი იაშვილმა გაიტანა, ექვსი ლაკიჩმა, სამი ბობოხიძემ, ერთი კოვაჩმა. ბოლო შეხვედრაში შუშაკმა გამოსცადა არგენტინელი ფეხბურთელი ფრედერიკო გუერა. დღეს, დინამოელებს გაცილებით ძლიერი მეტოქე გაუწევს წინააღმდეგობას, ავსტრიის მეორე ლიგის გუნდი „ლუშტენაუ".

<u>გამოხმაურება</u>

# «ლელოს» რედაქციას

გავეცანი თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილს ფეხბურთის წესებში სიახლის შეტანასთან დაკავშირებით.

კარგია, როცა გამოჩნდებიან ხოლმე ისეთი ადამიანები, როგორიც უშანგი ლითანიშვილია, რომლის იდეა ფეხბურთის წესებში ცვლილებების შეტანის თაობაზე მე პირადად ძალიან მომეწონა. ამ იდეის განხორციელებით, ვფიქრობ, ფეხბურთი ბევრად უფრო მიმზიდველი გახდება. გაიზრდება გოლების რაოდენობა და თამაშისადმი ინტერესი. მაქვს შენიშვნაც. ალბათ საჭირო გახდება მსაჯის დამატება.

გურამ თავამაიშვილი,
თბილისი.

გამოიწერეთ „ლელო"
2003 წლის
წლის მეორე ნახევრისათვის!

# საფეხბურთო მარკშეიდერი

***„ლელოს" ერთ-ერთ ნომერში ნოვატორი გულშემატკივრის უშანგი ლითანიშვილის ერთი იდეა გაგაცანით, ახლა გთავაზობთ მეორეს.***

ალბათ, უნდა ვაღიაროთ, რომ მოქმედი ფორმულა, რომელიც ავლენს ორ გამარჯვებულ გუნდს ქვეჯგუფიდან (როცა გათამაშება მიმდინარეობს ერთ ან, მით უმეტეს, ორ წრედ), — შორს არის სრულყოფილებისაგან. და მართლაც, ხშირად ყალიბდება სიტუაცია, როდესაც ორი ტურის შემდეგ ისახება ასეთი სურათი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| A | /// | V | V | | 6. |
| B | P | /// | | P | 0. |
| C | P | | /// | P | 0. |
| D | | V | V | /// | 6. |

ნახ.1. V — მოგება,
P — წაგება.

არ არის გასაკვირი, რომ მესამე ტურის მატჩში A-D გუნდებს შორის (რომლებმაც გაინაღდეს შემდეგ ეტაპზე თამაში) ძნელია მოინახოს განსაკუთრებული მოტივაცია უპირობო გამარჯვებისათვის, თუ არ ჩავთვლით საეჭვო არგუმენტად იმ ფაქტს, რომ პირველ ადგილზე გასული გუნდი შეხვდება სხვა ქვეჯგუფში, ვითომდაც შედარებით სუსტ, მეორე ადგილზე გასულ გუნდს. ეს არგუმენტი საკმაოდ მოიკოჭლებს, რადგანაც ჯგუფიდან სუსტი გუნდები ვერ (!) გადიან.

რაც შეეხება B-C გუნდების შეხვედრას, ერთადერთ მოჩვენებით მოტივაციად შეიძლება ჩაითვალოს პრესტიჟის (?) გოლი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი არგუმენტი იმისათვის, რომ ვიხილოთ ლამაზი და სანახაობრივი ფეხბურთი, რადგანაც ორივე გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი არა აქვს.

თუ გადავხედავთ ჯგუფური ტურნირების სტატისტიკას, ვნახავთ, რომ ძალიან ცოტაა ისეთი ჯგუფები, სადაც ორი ტურის მერე ქულები ისე იყოს გადანაწილებული, რომ ოთხივე გუნდი ინარჩუნებდეს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს. დანარჩენი შემთხვევების კოლიზიები კი, როგორც წესი, იწვევენ გულშემატკივრებში ეჭვს მომდევნო ტურებში „ჩაწყობილი" თამაშების არსებობის თაობაზე.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ უმაღლესი რანგის ჩემპიონატებში ქვეჯგუფების რაოდენობა უდრის ოთხს და ხშირად მეტს, ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი არამოტივირებული მატჩები ალბათობის თეორიის თანახმად, უნდა მივაკუთვნოდ უფრო კანონზომიერების, ვიდრე შემთხვევითობის კატეგორიას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გთავაზობთ ჯგუფში ორი უძლიერესი გუნდის გამოვლენის ისეთ ფორმულას, რომლის დროსაც პრაქტიკულად გამოირიცხება როგორც უმოტივაციო, ასევე ჩაწყობილი თამაშები.

... ვთქვათ, გვაქვს ქვეჯგუფი A,B,C,D გუნდებით. დავუშვათ, პირველ ტურში ხვდებიან A-B და C-D გუნდები (წყვილები შეიძლება შეირჩეს ლოკალური კენჭისყრით ან ოფიციალური რეიტინგის მიხედვით), წყვილთა დაპირისპირება ტარდება პლეიოფის ფორმატით.

მეორე ტურში ერთმანეთს უპირისპირდებიან შესაბამისად გამარჯვებული და დამარცხებული გუნდები. ვთქვათ, პირველი წყვილის გამარჯვებულია A გუნდი და მეორის — C, ე.ი. მეორე ტურში ერთმანეთს ხვდებიან გამარჯვებული A-C და დამარცხებული B-D გუნდები.




A-C წყილში გამარჯვებული (მაგ. A) გადის უკვე შემდეგ ეტაპზე (პირველი საგზური), დამარცხებული გუნდი კი, ე.ი. C ხვდება B-D წყილში გამარჯვებულს (მაგ.B), შესაბამისად, ტურნირს უკვე ამ სტადიაზე ეთიშება D გუნდი, რომელმაც ორ ტურში ვერცერთი ქულა ვერ დააგროვა. მეორე საგზურის ბედი B-C გუნდების შეხვედრაში წყდება.

მიზანშეწონილად ვთვლით გავაშუქოთ კიდევ ერთი ასპექტი.

შემოთავაზებული ფორმულით ერთ წრეში ჩატარებული ჯგუფური ტურნირის თამაშების რაოდენობა მცირდება ერთი თამაშით.

პრაგმატული კუთხით თუ შევხედავთ ამ თითქოს ნეგატიურ მომენტს, ძნელად წარმოსადგენი არაა, რომ შემოთავაზებული ფორმულით ჩატარებულ 5 შეხვედრას მეტი მაყურებელი დაესწრება, ვიდრე არსებული ფორმულით ჩატარებულ 6 შეხვედრას.

ცხადია, შემოთავაზებული ცვლილებებით ჩვენ პრეტენზიას არ ვაცხადებთ მათ სრულყოფაზე, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ურიგო არ იქნება მათი განხილვა ნამდვილი პროფესიონალების და ფეხბურთის მოყვარულთა ფართო წრეების მიერ.

**შ. ლითანიშვილი**

# „დინამო" ბავშვებშიც პირველია

<u>ბავშვთა ფეხბურთი</u>



გივი ჩოხელის თასის გათამაშების ფინალური მატჩით დასრულდა სფფ-ს ეგიდით გამართული ტურნირები სხვადასხვა ასაკში. თითქმის, ყველა ფინალში დედაქალაქის „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლის გუნდმა იასპარეზა და მოიგო კიდეც.

მიხეილ მესხის (1987 წლიანები) სახელობის თასი, წლეულს მოიპოვა თბილისის „დინამომ", რომელმაც ფინალში დაამარცხა თანაქალაქელი „ავაზას" გუნდი 2-0.

ვიტალი დარასელიას (1989 წლიანები), სახელობის თასის გათამაშების ფინალში თბილისის „შევარდენმა" 2-0 მოუგო თბილისსავე „ოლიმპიკს".



სლავა მეტრეველის (1988 წლიანები) თასის ფინალი დინამოელთა შინაურ საქმედ იქცა. „დინამო 1"-მა 2-0 მოუგო „ნორჩ დინამოელს" და თასს დაეუფლა.

გივი ჩოხელის (85-86 წლიანები) თასის ფინალი ტრადიციულად თელავში გაიმართა. ფინალში „ნორჩი დინამოელი 86"-მა 1-0 აჯობა თ. სულაქველიძის აკადემიის გუნდს.

ჭაბუკთა ლიგის გათამაშების წლევანდელი საბოლოო ცხრილები კი ასე გამოიყურება.

საქართველოს 84 და 86 წ.დ. ჭაბუკთა ლიგის გათამაშება

***84 წლიანები***

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაუდი | 26 | 18 | 6 | 2 | 59-24 | 60 |
| ოლიმპიკი | 26 | 16 | 7 | 3 | 56-15 | 55 |
| საუ-იბერია | 26 | 16 | 7 | 3 | 55-19 | 55 |
| ტორპედო(ქთ) | 26 | 14 | 4 | 8 | 39-31 | 46 |
| მართვე (ქთ) | 26 | 10 | 9 | 7 | 36-30 | 39 |
| შევარდ.(ქთ) | 26 | 11 | 4 | 11 | 32-35 | 37 |
| ბერი 2000 | 26 | 10 | 6 | 10 | 33-27 | 36 |
| ვაკე 91 | 26 | 10 | 2 | 14 | 39-42 | 32 |
| აკადემია | 26 | 9 | 3 | 14 | 38-46 | 30 |
| დინამო (ბთ) | 26 | 7 | 6 | 13 | 25-50 | 27 |
| ქობულეთი | 26 | 7 | 6 | 13 | 24-37 | 27 |
| სიხარული | 26 | 8 | 2 | 16 | 36-50 | 26 |
| ლოკომ. (სმ) | 26 | 6 | 3 | 17 | 26-53 | 21 |
| სიონი | 26 | 4 | 7 | 15 | 20-59 | 19 |

***86 წლიანები***

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| იმერეთი (ქთ) | 26 | 20 | 4 | 2 | 49-18 | 64 |
| მერანი | 26 | 18 | 3 | 5 | 67-25 | 57 |
| ოლიმპია (ხბ) | 26 | 14 | 6 | 6 | 38-31 | 48 |
| დინამო 86 | 26 | 14 | 6 | 6 | 43-25 | 48 |
| ავაზა | 26 | 13 | 7 | 6 | 46-27 | 46 |
| ოდიში (ზგ) | 26 | 14 | 2 | 10 | 52-30 | 44 |
| ოლიმპიკი | 26 | 13 | 5 | 8 | 56-36 | 44 |
| კოლხიდა(ქთ) | 26 | 11 | 4 | 11 | 38-28 | 37 |
| რანი86 (ლგ) | 26 | 10 | 3 | 13 | 28-42 | 33 |
| დინამო (ბთ) | 26 | 7 | 6 | 13 | 28-39 | 27 |
| კახეთი (თლ) | 26 | 6 | 7 | 13 | 30-47 | 25 |
| ქობულეთი | 26 | 4 | 6 | 16 | 24-53 | 18 |
| ივერია (ხშ) | 26 | 4 | 5 | 17 | 27-57 | 17 |
| ორბი (გრ) | 26 | 1 | 2 | 23 | 21-89 | 5 |

# ბავშვთა ფეხბურთი

## გაეზარდეთ საქართველოს!

1989-90 წლებში დაბადებულთა საფეხბურთო ტურნირში, რომელიც საფეხბურთო სკოლა „გეორგიამ" ჩაატარა, 16 გუნდი მონაწილეობდა ორ ჯგუფად. ქვეჯგუფებში ორ-ორმა უძლიერესმა შექმნა ფინალური წყვილები. პირველ ნახევარფინალში „დინამომ" მოუგო „გრანგის" 3-1, მეორეში „დინამოს" მეორე გუნდმა აჯობა „გეორგიას" პენალტებით 5-3 (2-2). ფინალში მწვრთნელ მ. კანდელიას „დინამომ" აჯობა მწვრთნელ გ. სილაგავას თანაკლუბელებს 5-3. მესამე



ადგილი წილად ხვდა „გრანტს" (მწვრთნელი კ. მეავანაძე), რომელმაც „გეორგიას" (მწვრთნელი დ. უნგიაძე) მოუგო 3-1. დასახელდნენ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელები: მეკარე — მერაბ ქაშიბაძე („დინამო"), მცველი — გიორგი რაზმაძე („გეორგია"), ნახევარმცველი — გიორგი თხინვალელი, თავდამსხმელი — მირიან დუნდუა (ორივე — „დინამო"), ბომბარდირი — ლაშა ჯოხაძე („გრანგი") — 18 გოლი, პერსპექტიული მეკარე — დათო ფარაჯანაშვილი („გეორგია"), ფინალის საუკეთესო მოთამაშე — დათო ხუბუა („დინამო").

ტურნირს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჟანი ლექავა ხელმძღვანელობდა. ამ ტურნირმაც ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ თბილისის მოზარდთა შორის ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი ეზრდება საქართველოს.

***სურათზე:*** „ნორჩი დინამოელი". მარცხნიდან: I რიგში — ბესიკ გავაშელი, ბექა აფაქიძე, გიორგი გოგოლაძე, გიორგი ქომეთიანი, ლევან ტაბატაძე; II რიგში — კახა მურჯიკნელი, გელა ტორჩილაშვილი, გიორგი ირემაძე, გიორგი ნოზაძე, ალექსანდრე გაგოშიძე, გელა გოგუა, გურამ კანდელია (მწვრთნელი), გურამ დათუკაშვილი; III რიგში: გიორგი მელაძე, გიორგი კოკილაშვილი, გიორგი მდინარაძე, მირიან დონდუა, სერგო ლეფსია, გიორგი დავითაშვილი, ედგარ ბაირამოვი, მერაბ ქაშიბაძე.



ფოტო რობერტ ბაგთიანის

## მ. მესხის პრიზი „ნორჩ დინამოელს"

დამთავრდა 1987 წ. დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირი მ. მესხის პრიზზე, რომელშიაც ქვეყნის ჭაბუკთა 71 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში „ნორჩი დინამო" შეხვდა მ. მესხის სახელობის საფეხბურთო სკოლის „ავაზას" გუნდს. მატჩი მოიგეს ჭაბუკმა დინამოელებმა 2-0. აღსანიშნავია, რომ წლეულს მთავარი მწვრთნელის ზორბეგ ებრალიძის შეგირდებმა, მწვრთნელების ელგუჯა სილაგავას და ვახტანგ ბლიაძის დახმარებით, ანტალიაში საფეხბურთო ფესტივალზეც გამოიჩინეს თავი — მთავარი პრიზი მათი მონაგარი გახდა, ახლა კი მ. მესხის პრიზსაც დაეუფლნენ. გამარჯვებულ გუნდში თამაშობდნენ: მეკარეები — გიორგი კაჭარავა და ნიკა ოდიშელიძე; მცველები — ლაშა კიშინსკი, გურამ კაშია, გიგა ბარამიძე, ლაშა დეკანოსიძე და კახა თავაძე; ნახევარმცველები — ბექა ფარჯიანი, მიშიკო ბაბლუანი, ზურაბ არზიანი, უჩა ლობჟანიძე, გიორგი ორაკუდაშვილი, ირაკლი მჭედლიძე, შალვა ჭკუასელიძე და ნიკა ფირცხალავა; თავდამსხმელები — ფარნა კუსრაშვილი, ლევან სარდანაშვილი, ჯაბა ლიპარტია, კახა ბახტაძე და ბესო ოსეფაშვილი.

„ლელოს" კორ

## გმირების არ დავიწყება

შარშან შემოდგომაზე დაიწყო და ამ დღეებში დასრულდა აფხაზეთში გმირულად დაღუპული, ჭაბუკებში ნიჭიერი ფეხბურთელის ნოდარ მელუას საფეხბურთო ტურნირი 1987-88 წლიანთა შორის. ასპარეზობა ჩატარდა ორ წრედ. მონაწილეობდა 22 გუნდი. ოთხმა უძლიერესმა ფინალურ ეტაპზე გაითამაშა მთავარი პრიზი, რომელიც წილად ხვდა დინამოელთა გუნდს (მწვრთნელი ირაკლი ვასაძე), მეორე ადგილზე გავიდა საფეხბურთო აკადემია(მწვრთნელი ანზორ ჯინჭარაძე).

ტურნირს ხელმძღვანელობდა სპორტკულბ „გეორგიას" სასწავლო ნაწილის გამგე თენგიზ გეგუჩაძე. საუკეთესო ფეხბურთელებად დასახელდნენ: მეკარე ნიკა მელაძე („დინამო"), მცველი – ჯემალ დოფიძე (აკადემია), ნახევარმცველი – გელა ვაშაკიძე („ლოკომოტივი"), თავდამსხმელი – გურამ მაჩაიძე (ასს), ბომბარდირი – დათო თალაკვაძე („მართვე"), საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი გადაეცა გიორგი გულორდავას („დინამო"). ფინალური მატჩის პირველი გოლის პრიზი – გიორგი ჯაშს „დინამო").



ბომბარდირი დათო თალაკვაძე





მარცხნიდან: I რიგში — გიორგი ჯაში, ირაკლი ქორქოლიანი, ხვიჩა კანდალია, გიორგი ზანგურაშვილი, შოთა ჩუთლაშვილი, გიორგი გულორდავა, გალერო ძნელაძე, ლაშა თაბაგარი, ლევან მექვევრიშვილი.
დგანან II რიგში: მამუკა მეგრელაძე, ნიკა მელაძე, ლევან რამაზაშვილი, ბაქარ გეგეჭკორი, გიგა გიგაური, ზაზა ჭელიძე, სერგი გაჩეჩილაძე, ირაკლი ვასაძე (მწვრთნელი), ოთარ ქოროღლიშვილი, გიგი სვანიძე, მიხეილ ჩანადირი.

## ანტონ ჩარექიშვილის ხსოვნას მიეძღვნა

ორ თვეს მიმდინარეობდა ტურნირი ფეხბურთში რაიონის საშუალო სკოლების ნაკრებ გუნდებს შორის, ვეტერანი ფეხბურთელის, რაიონის ყოფილი ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარის ანტონ ჩარექიშვილის ხსოვნის პრიზზე, 15 გუნდის მონაწილეობით, ზონებში შეხვედრები გაიმართა წრიული სისტემით. შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს კვახჭირის, ჭოგნარის, თუზისა და ძევრის საშ. სკოლების წარმომადგენლებმა.

ნახევარფინალში თუზის საშუალო სკოლის ფეხბურთელებმა დაამარცხეს კვახჭირელი თანატოლები 5-0; ძევრელებმა ჭოგნარის საშუალო სკოლის ფეხბურთელებს სძლიეს 2-1.

ფინალური შეხვედრა თერჯოლის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ძევრისა და თუზის გუნდებს შორის. ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა 1-1, თერთმეტმეტრიანი დარტყმები უფრო ზუსტად შეასრულეს ძევრელმა მოსწავლეებმა, (მწროთვნელები რამაზ და ვახტანგ გიგაშვილები) და გაიმარჯვეს 4-2.

გამარჯვებულ გუნდს და თითოეულ ფეხბურთელს გადაეცათ თერჯოლის ფეხბურთის ფედერაციის (პრეზიდენტი რეზო გაბრიაძე) მიერ დაწესებული ანტონ ჩარექიშვილის სახელობის გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომები. გამარჯვებულს თასი გადასცა ანტონ ჩარექიშვილის შვილიშვილმა ანტონმა.

თუზის საშუალო სკოლის ნაკრები (მწვრთნელი ამირან გოგობერაშვილი) მეორე ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა ცალკეულ ფეხბურთელებთან ერთად.

ტურნირზე დაწესებული იყო მრავალი პრიზი. სს „ძერულჰესის" (დირექტორი ივლან ზარნაძე) პრიზი გადაეცა ტურნირის საუკეთესო მეკარეს ძევრელ ლევან ჭანკვეტაძეს, მცველის — ბექა ჯიხვალშვილს, ნახევარმცველის — ზურაბ ჭანტურიძეს, თავდამსხმელის — თუზელ გაგა წიწილაშვილს, ყველაზე ტექნიკური მოთამაშის — შოთა გოგბერაშვილს. პირველი გოლის გამტანის — ვასო გიგაშვილს (ძევრი).

ეს ტურნირი ტრადიციულია და ტარდება 1998 წლიდან.

ტურნირზე გუნდები მოამზადეს მწვრთნელებმა რამაზ და ვახო გიგაშვილებმა — ძევრი. ამირან გოგბერაშვილმა — თუზი.

პრიზები „ძერულჰესის" გარდა დააწესა რაიონის სპორტკომიტეტმა, ქალაქის საკრებულომ და ახალგაზრდობის დეპარტამენტმა.

**შოთა ძამთარაძე,**
**თერჯოლის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი.**

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1) რომელ წელს ეწვია საქართველოში საფეხბურთო ტურნეს ჩასატარებლად ჩამოსული ხარკოვის გუნდი ბათუმს?***

ა) 1922 წელს
ბ) 1923 წელს
გ) 1924 წელს

***2) რომელ წელს ჩაეყარა საფუძველი თბილისის პირველობის გათამაშებას ფეხბურთში?***

ა) 1924 წელს
ბ) 1925 წელს
გ) 1926 წელს

***3) რომელ წელს შეიქმნა თბილისის „დინამოს" საფეხბურთო გუნდი?***

ა) 1924 წელს
ბ) 1925 წელს
გ) 1926 წელს

***4) სადაური იყო თბილისის „დინამოს" პირველი თაობის ერთ-ერთი ფეხბურთელი ა. გალპერინი?***

ა) კიეველი
ბ) ხარკოველი
გ) ოდესელი

***5) რომელ წელს და ვისთან ითამაშეს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა პირველი საქალაქთაშორისო მატჩი?***

ა) 1926 წელს ბაქოს დინამოელებთან
ბ) 1927 წელს ხარკოვის ნაკრებთან
გ) 1928 წელს ერევნის ნაკრებთან.

***პასუხები შემდეგ ნომერში.***

***„ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნებული შეკითხვების პასუხები: 1-ბ, 2-ა, 3-ბ, 4-გ, 5-ა.***

# მასმედიის შეხვედრა მსოფლიო უნივერსიადის გმირებთან



კარგია, როცა პრესკონფერენციაზე ერთსულოვნებაა. სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ სპორტში ნამდვილად ასეა. აბა, კიდევ სად გინახავთ, რომ პრესკონფერენციაზე მხოლოდ მადლობისა და მოფერების სიტყვები გაისმოდეს. გუშინ სწორედ ასეთი განწყობა სუფევდა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში. ჩვენს სტუდენტ სამბისტებთან მასმედიის წარმომადგენლების შეხვედრისას. ეს ის ათლეტები არიან, ამ დღეებში სტუდენტთა მსოფლიოს უნივერსიადაზე ფურორი რომ მოახდინეს — გუნდურ პირველობაში უნივერსიადის ჩემპიონობა მოიპოვეს და „ოქრო-ვერცხლი-ბრინჯაოც“ ბლომად ჩამოიტანეს (შედეგებზე „ლელო“ უკვე წერდა). პრესკონფერენციაზე სამადლობელი სიტყვები გაისმოდა არა მხოლოდ გმირი ბიჭების მიმართ, არამედ მათი მისამართითაც, ვისი მეოხებითაც გამოიჭედა ეს ბრწყინვალე წარმატება. უპირველესად ეს ეხება ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ოლეგ იაძეს და სხვა მწვრთნელებს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, სპონსორს — ელგუჯა ბუბუტეიშვილს, რომელთან შეხვედრა, ჯერ კიდევ წინ არის.

გვიმრავლოს!

**თორნიკე ბაჩეჩილაძე**

***სურათზე:*** უნივერსიადის გმირები მწვრთნელებთან ერთად.

***ფოტო რობერტ ბაგოიანისა***

# „ლომი არ კვდება, მას მხოლოდ სძინავს“...

კონფედერაციის თასის გათამაშებაზე, მესამე ადგილისათვის გამართულ მატჩში თურქეთისა და კოლუმბიის ნაკრებები შეხვდნენ. უკვე მეორე წუთზე თუნჯაიმ კარგად ისარგებლა კოლუმბიელთა გოლკიპერის შეცდომით და თურქეთის ნაკრები დააწინაურა.

ეს გოლი კოლუმბიელთათვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ კარგა ხანს გონს ვერ მოეგნენ და თამაშიც ვერ ააწყვეს. თურქი ფეხბურთელები უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ. მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს კოლუმბიელებმა თამაში გაათანაბრეს, ბოლო წუთზე კი ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი მიეცათ, მაგრამ იეპესის მიერ ახლო მანძილიდან თითქმის ცარიელ კარში დარტყმული ბურთი თურქეთის ნაკრების მცველს მოხვდა.

კოლუმბიელები მეორე ტაიმში კიდევ უფრო გააქტიურდნენ და 63-ე წუთზე მათი მრავალსვლიანი კომბინაცია ერნანდესმა გოლით დაასრულა. ამ გოლის შემდეგ თამაში, რომ იტყვიან, „გაიხსნა“: ორივე გუნდი ზედიზედ ქმნიდა საგოლე მომენტებს. და ბოლოს, მატჩის ძირითადი დროის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე მოედანზე ახალგამოსულმა ოქანმა გამარჯვების გოლი გაიტანა კოლუმბიელთა კარში. თურქეთის ნაკრებმა 2-1 მოიგო ეს მატჩი და მესამე ადგილი დაიკავა. ამით თურქებმა დაამტკიცეს, რომ მათ მიერ მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე დაკავებული მესამე ადგილი შემთხვევითი არ ყოფილა, არც ის დაგავიწყდეთ, რომ თურქეთის ნაკრები კონფედერაციის თასის გათამაშებაში მეორე შემადგენლობით თამაშობდა.



მესამე ადგილისათვის გამართული მატჩის მონაწილე გუნდების შემადგენლობა ასეთი იყო:

***კოლუმბია:*** ო. კორდობა, მარტინესი, იეპესი, ი. კორდობა, ბედოია, პატინო, ლოპესი (ვალენტიერა, 28), ერნანდესი, დარიო ვალასკესი, არისტისაბალი, ბეკერა (არიავა, 41).

***თურქეთი:*** ომერი, ფატიხი (შელჩუკი 60), სერვეტი, დენისი, უ. იბრაჰიმი, გოკდენისი, ვოლქანი (ერგუნი, 87), სერქანი, ტ. იბრაჰიმი, თუნჯაი, ნესატი (ოქანი, 66).



კამერუნელ ფეხბურთელებს მარკ-ვივიენ ფოეს ტრაგიკულად დაღუპვის გამო არ უნდოდათ კონფედერაციის ფინალში თამაში საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ, მაგრამ ბოლო მომენტში გადაწყვიტეს, რომ მაინც ეთამაშათ და ეს ფოეს ხსოვნისათვის მიეძღვნათ. მოედანზე კამერუნის ნაკრების ყველა ფეხბურთელი ჩვიდმეტნომრიანი მაისურით გამოჩნდა — ესეც სწორედ ფოეს საპატივცემულოდ გაკეთდა (ეს უკანასკნელი სწორედ ამ ნომრით თამაშობდა).

გულშემატკივრებს კი უზარმაზარი პლაკატი ჰქონდათ გამოფენილი ტრიბუნაზე წარწერით: „ლომი არ კვდება, მას მხოლოდ სძინავს“.

თვით თამაში, მართალია, ლამაზი არ გამოდგა, თუმცა დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა. პირველ ტაიმში ფრანგები აქტიურობდნენ, თუმცა კამერუნელები კარგად თამაშობდნენ დაცვაში. ტაიმის ბოლოს კი თავადაც რამდენჯერმე „შეაწუხეს“ ფაბიენ ბარტეზი.

საგოლე მომენტები მატჩის მეორე ნახევარშიც იყო, მაგრამ ძირითადი დრო ისე ამოიწურა, რომ გოლი არ გასულა.

დამატებითი დროის მე-7 წუთზე ტიერი ანრიმ, როგორც იქნა გაიტანა გოლი, რომელმაც კონფედერაციის თასი მოუტანა საფრანგეთის ნაკრებს.

ამ მატჩში მონაწილე გუნდების შემადგენლობა:

***კამერუნი:*** კამენი, ნდომბე, სონგი, ატუბა, მეტომო, ჟერემი, მბამი, მეზავე (ემანა 91), იდრისუ, ნდიეფი (ეტო,ო, 67), ჯემბა-ჯემბა.

***საფრანგეთი:*** ბარტეზი, სანიონი (ტიურამი), დესაი, გალასი, ლიზარაზუ, ჟიუნი, პედრეტი, დაკური (კაპო), ვილტორი (პირესი, 65), ჯ. სისე, ანრი.

# ისევ 32 გუნდით

ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალურ სხდომაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ ისე აღელვა „ოკეანიის ზონის“ წარმომადგენლები, რომ დარბაზში ყოველგვარი არეულობის თავიდან ასაცილებლად წესრიგის დამცველთა რაოდენობა გაზარდეს.

სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო ორი ძირითადი საკითხი: უნდა მისცემოდა თუ არა „ოკეანიის ზონის“ გამარჯვებულს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური ავტომატურად, თუ ისევ ძველებური წესით, სამხრეთ ამერიკის მეხუთე გუნდთან გაარკვევდა საგზურის მფლობელის ვინაობას. ფიფამ მიიჩნია, რომ „ოკეანიის“ ზონისათვის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის პირდაპირი საგზურის მიცემა ნაადრევია.

„ამ ეტაპზე ასე ჩავთვალეთ საჭიროდ: ყველაფერი ძველებური წესით ჩატარდება, თუმცა ამ იდეას არ უარვყოფთ, მას მომავალში აუცილებლად განვიხილავთ“, — განაცხადა იოზეფ ბლატერმა. გარდა ამისა, ფიფამ უარი განაცხადა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილე გუნდების რაოდენობის გაზრდაზე 32-დან 36-მდე.

„გუნდების რაოდენობის გაზრდა წარმოშობს ტექნიკურ, ფინანსურ და წმინდა სპორტულ პრობლემებს, — თქვა ბლატერმა, — ჩვენ ამ საკითხს ყველა მხრიდან შევხედეთ და დავასკვენით, რომ ამ ეტაპისათვის 32 გუნდის მონაწილეობა უფრო ოპტიმალურია“.

გადაწყვეტილება მიიღეს სხდომის მონაწილეთა უმრავლესობით — 22 ხმით ერთის წინააღმდეგ. ის ერთადერთი ხმა სწორედ „ოკეანიის“ წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ.

„არ ვფიქრობ, რომ ეს არის მორალური, ეთიკური, ანდა, კომერციული გადაწყვეტილება. ეს არის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია „ოკეანიის ზონის“ დაჩაგვრისაკენ. ფიფამ კიდევ ერთხელ ჩაგვაგდო მძიმე მდგომარეობაში“ — განაცხადა ავსტრალიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა ბაზილ სკარცელამ. შეგახსენებთ, რომ ე.წ. ფლეი-ოფის სისტემის გამსვლელი მატჩების გამო ავსტრალიელებმა ბოლო ოთხ ჩემპიონატზე მოხვედრა ვერ მოახერხეს. — გადამწყვეტ მომენტში მათ გზა გადაუღობეს არგენტინის, ურუგვაის, შოტლანდიისა და ირანის ნაკრებებმა.

# ფიფას დაარსების 100 წლისთავს საფრანგეთისა და ბრაზილიის ნაკრებები აღნიშნავენ

**მომავალი წლის მაისში ფიფა დაარსების 100 წლისთავს ზეიმობს. ამასთან დაკავშირებით ეს ორგანიზაცია მრავალი საინტერესო საზეიმო ღონისძიების ჩატარებას გეგმავს. პროგრამის უმთავრესი ნაწილი კი საფეხბურთო მატჩია მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიასა და კონფედერაციის თასის მფლობელ საფრანგეთის ნაკრებს შორის. ეს შეხვედრა, „სტად დე ფრანსზე“ შედგება.**

**გარდა ამისა, სამხრეთ ამერიკაში ჩატარდება მატჩი მსოფლიოს 1930 წლის ჩემპიონატის პირველი თამაშის პატივსაცემად.**

# პირველად ბრაზილიურ ფეხბურთში: ქალები მსაჯობენ

***კვირას, ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში პირველად, ქვეყნის საფეხბურთო მატჩი „გუარანსა“ და „სან-პაულუს“ შორის იმსაჯა... ქალთა ბრიგადამ.***

მთავარმა არბიტრმა სილვია რეჯინა ოლივეირამ ფეხბურთელებს 8 ყვითელი ბარათი უჩვენა. „გუარანის“ ფეხბურთელებმა უარყოფითი რეაქცია გამოხატეს გვერდითი მსაჯების — ალინა ლამბერტისა და ანა პაულა ოლივეირას მიმართ, რომლებმაც მასპინძელთა მიერ გატანილი ორი გოლი არ ჩათვალეს და თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირეს.

საბოლოოდ მატჩი სტუმრებმა — „სან პაულუს“ ფეხბურთელებმა მოიგეს 1-0.

„ქალებმა ძალიან კარგად იმსაჯეს, — თვლის ყოფილი არბიტრი კლაუდიო კარდეირა, — ერთადერთი პრობლემა, ეს არის სუსტი სქესის წარმომადგენელთა დისკრიმინაცია ფეხბურთში“.

უკმაყოფილება ვერ დამალა „გუარანის“ მწვრთნელმა პეპემ, რომელიც მიიჩნევს, რომ მსაჯები „ეხმარებოდნენ“ მეტოქეს.

# ამარუ ტავარეშ და სილვეირა ამარილდო

*თარიღი*

**1939 წლის 29 ივნისს დაიბადა ბრაზილიელი ფეხბურთელი ამარუ ტავარეშ და სილვეირა ამარილდო. ის წლების განმავლობაში წარმატებით იცავდა „ფლამინგოს“, „ბოტაფოგოს“, „ვასკო და გამას“ (ყველა - ბრაზილია), „მილანის“, „ფიორენტინასა“ და „რომას“ (ყველა - იტალია) ღირსებას. იყო იტალიის ჩემპიონი და თასის მფლობელი. 1963 წელს კი ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა.**

**ბრაზილიის ნაკრებში 23 მატჩი ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა. 1962 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა.**

**საინტერესოა, რომ მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ამარილდო გაემგზავრა როგორც ბრაზილიის ნაკრების სათადარიგო მოთამაშე, მაგრამ ბედმა გაუღიმა და ჩემპიონატის გმირად იქცა.**

**ბრაზილია — ესპანეთის შეხვედრის დროს პელემ მიიღო ტრავმა და ის ამარილდოთი შეცვალეს. ესპანელები მატჩის დამთავრებამდე 25 წუთით ადრე 1-0 იგებდნენ და ამარილდომ სასწაული მოახდინა — გაიტანა ორი გოლი და ბრაზილიის ნაკრები მეოთხედფინალში გაიყვანა.**



**ამარილდო მთავარი ფიგურა იყო ჩეხებთან ფინალურ მატჩშიც. მან ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ რამდენიმე მცველის მოტყუების შემდეგ საგოლე გადაცემა მისცა ზიტოს, რის შედეგად ბრაზილიელებმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს.**

**ამარილდოს (ფოტოზე - შუაში) თამაშს ისეთივე გამოხმაურება ჰქონდა, როგორც პელესა და გარინჩას გამოსვლას მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატზე.**

**ამარილდო გამოირჩეოდა დიდებული დრიბლინგებითა და ფინტებით, ბრძოლისუნარიანობით, ბომბარდირული თვისებებით.**

**ამარილდოს ტალანტი კიდევ უფრო „გაიფურჩქნა“ მისი იტალიაში გადასვლის შემდეგ. დაახლოებით 60-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი იტალიურ კლუბებში თამაშის დროს.**

**საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ამარილდო ხელმძღვანელობდა ჯერ ბრაზილიურ „ბოტაფოგოს“, შემდეგ ტუნისის ნაკრებსაც.**

# ტიერი ანრი: „ეს სეზონი საუკეთესოა ჩემთვის“

**საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის არსენალის“ თავდამსხმელმა ტიერი ანრიმ კონფედერაციის თასის ფინალში გატანილი გოლით მშობლიური ქვეყნის ნაკრებს საპატიო ჯილდო მოუტანა. საერთოდ, ამ ტურნირში მან ყველაფერი თავის თავზე აიღო, მით უმეტეს, რომ საფრანგეთის ნაკრებს აკლდა წამყვანი ვარსკვლავი ზინედინ ზიდანი.**

**„თუკი ჩემს პირად მაჩვენებლებს გადავხედავთ, გამოდის, რომ ეს სეზონი საუკეთესოა ჩემთვის, — განაცხადა ტიერი ანრიმ ჟურნალისტებთან საუბარში, — თავად განსაჯეთ, გავიტანე 40 გოლი და 23 საგოლე გადაცემაც გავაკეთე“.**

**კამერუნელი ფეხბურთელის მარკ-ვივიენ ფოეს სიკვდილმა ანრიც შეაძრწუნა. „ფინალში გატანილი გოლი ფოეს ხსოვნას მივუძღვენი. ეს იყო ერთადერთი რამ, რისი გაკეთებაც მისი ხსოვნის წინაშე შემეძლო“, — თქვა ანრიმ.**

# სპორტული ივლისი

1 - მძლეოსნობა. გრან-პრი. ლოზანა (შვეიცარია).
2-5 - ოლიმპიზმი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია. პრაღა (ჩეხეთი).
4 - მძლეოსნობა. ოქროს ლიგა. II ეტაპი. პარიზი (საფრანგეთი).
5 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. პროლოგი. 6,5 კმ.
6 - ავტოსპორტი. ფორმ. 1 X ეტაპი. საფრანგეთის გრან-პრი. მანი-კური.
6 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. I ეტაპი. სენტ დენი-მეო. 168 კმ.
7 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. II ეტაპი. ქეარი-სედანი. 204 კმ.
7-13 - ჩოგბურთი. ATP. ბასტადი (შვედეთი), გშტაადი (შვეიცარია), ნიუპორტი (აშშ).
7-13 - ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი. მადრიდი (ესპანეთი).
8 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. III ეტ. შარლევილი — სენ დიზიე. 167 კმ.
9 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IV ეტაპი. ჟუანვილი. სენ დიზიე. 68 კმ.
10 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. V ეტაპი. ტრუა-ნევერი. 196 კმ.
11 - მძლეოსნობა. ოქროს ლიგა. III ეტაპი. რომი (იტალია).
11 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VI ეტაპი. ნევერი — ლიონი. 225 კმ.
12 - ველოსპორტი. ტურ-დე ფრანსი. VII ეტაპი. ლიონი-მორზინი. 226,5 კმ.
12-21 - კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბანგკოკი (ტაილანდი).
13 - მძლეოსნობა. გრან-პრი. შეფილდი (ინგლისი).
13 - მოტოსპორტი. VIII ეტაპი. დიდი ბრიტანეთის გრან-პრი. დონინგტონი.
13 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VIII ეტაპი. სალანში-ალპ დიუეზი. 211 კმ.
13-27 - საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი. ბარსელონა (ესპანეთი).
14 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IX ეტაპი. ბურგ დუასანი-გაპი. 184,5 კმ.
15 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. X ეტაპი. გაპი-მარსელი. 210 კმ.
17 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XI ეტაპი ნარბონა-ტულუზა. 158 კმ.
18 - მძლეოსნობა. გრან-პრი. მადრიდი (ესპანეთი).
18 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XII ეტაპი. გელა-დეკაზვილი. 48,5 კმ.
19 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIII ეტაპი. ტულუზა-ბონასკრი. 197,5 კმ.
19-20 - ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი.
20 - ავტოსპორტი. ფორმულა 1. XI ეტაპი. დიდი ბრიტ. გრან-პრი. სილვერსტოუნი.
20 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIV ეტაპი სენ ჟირონი-ლუდენვილი. 191,5 კმ.
21 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ეტაპი. ბიგორი-არდიდენი. 159,5 კმ.
23 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVI ეტაპი. პო-ბაიონა. 197.5 კმ.
24 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVII ეტაპი. დაქსი-ბორდო. 178 კმ.
24-27 - ავტოსპორტი. გერმანიის რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. VIII ეტაპი.
25 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVIII ეტაპი. ბორდო-სენმექსენი. 200 კმ.
26 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIX ეტაპი. პორნიკი-ნანტი. 49 კმ.
27 - ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XX ეტაპი. ვილ დავრე-პარიზი. 160 კმ.
29 - 4 აგვისტო. ველოსპორტი (ტრეკი). მსოფლიო ჩემპიონატი. შტუტი (ჩინეთი).

# სერბიისა და ჩერნოგორიის ნაკრები მზადებას იწყებს

ცნობილია, რომ სექტემბერში შვედეთში ტარდება კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი. სერბიისა და ჩერნოგორიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დუშან ვეიოშევიჩმა დაასახელა 17 კალათბურთელის ვინაობა, რომლებიც ქვეყნის ღირსებას ევროპის ჩემპიონატზე დაიცავენ: დეინ ბოდიროგა („ბარსელონა", ესპანეთი), პრედრაგ სტოიაკოვიჩი, („საკრამენტო", ნბა), მილან გუროვიჩი („უნიკახა", ესპანეთი), ალექსანდრ პავლოვიჩი, დეიან მილევიჩი, ჟარკო ჩაბარკაპა („ყველა — „ბუდუჩნოსტი"), ოგნენ აშკრაბიჩი („ქელეზნიკი"), დუშან ვუკჩევიჩი („სიენა"), პრედრაგ დრობნიაკი („სიეტალი", ნბა), დეიან კოტუროვიჩი („ტიმსისტემი", იტალია), დრაგან ტარლაჩი („რეალი", ესპანეთი), ნენად კრტიჩი („პარტიზანი"), მარკო იარიჩი („კლიპერსი", ნბა), მილოშ ვუიანიჩი, ვულე ავდალოვიჩი, დუშან კეჩმანი (ყველა — „პარტიზანი"), იგორ რაკოჩევიჩი („მინესოტა", ნბა).

ნაკრები პირველ საწვრთნელ შეკრებას 17 ივლისიდან იწყებს, 8 და 10 აგვისტოს ამხანაგურ მატჩებს გამართავენ სალონიკში საბერძნეთის ნაკრების წინააღმდეგ. შვედეთამდე სერბიისა და ჩერნოგორიის ნაკრები „მოივლის" გერმანიას და თურქეთს. რუსეთის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა კი უკვე დაიწყო მზადება საევროპოდ შემდეგი შემადგენლობით: რუსლან ავლეევი („ვირტუსი", იტალია), სერგეი მონია, ვიქტორ ხრიაპი (ორივე — ცსკა), ალექსანდრ პეტრენკო („ხიმკი"), ფედორ ლიხოლტოვი („არისი", საბერძნეთი), ალექსანდრ ბაშმინოვი, ალექსეი სავრაშენკო (ორივე — ცსკა), მიხაილ სოლოვიევი, დენის ერშოვი (ორივე — „ხიმკი"), ვასილ კარასევი, (ლოკომოტივი), პეტრ სამოილენკო, სერგეი ჩიკალკინი (ორივე — „უნიკსი"), ალექსანდრ მილოსერდოვი, დმიტრი დომანი (ორივე — მოსკოვის „დინამო"), ზახარ პაშუტინი (ცსკა) და ვალენტინ კუბრაკოვი („ურალ-გრეიტი"). 15 აგვისტოს გუნდს შეუერთდება ნბა-ში მოთამაშე ანდრეი კირილენკო. ევროპის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ერთმანეთს სწორედ სერბეთი-ჩერნოგორიისა და რუსეთის ნაკრებები ხვდებიან (ორივე გუნდი „C" ჯგუფში ასპარეზობს).

# რალფ შუმახერის პირველი გამარჯვება



„ფორმულა 1"-ის მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა რალფ შუმახერმა, რომელმაც ევროპის „გრან-პრი" დაისაკუთრა. არადა, თავდაპირველად რაიკინენი დაწინაურდა, რომლის უპირატესობა რალფ შუმახერთან პირველი წრის შემდეგ მხოლოდ 1,1 წამს შეადგენდა, თუმცა მეხუთე წრისათვის უკვე 4,5 წამი შეადგინა, უმცროსი შუმახერი წარმატებით ინარჩუნებდა მეორე პოზიციას და წინ არ უშვებდა უფროს ძმას — მიხაელ შუმახერს.

მეცამეტე წრისათვის რაიკინენი უკვე 7,3 წამით დაწინაურდა. მე-16 წრეზე რაიკინენი და უმცროსი შუმახერი ერთდროულად შევიდნენ „პიტ სტოპში", მოხდა ისე, რომ რალფი პირველ პოზიციაზე აღმოჩნდა და მალე, მეორეზე — მონტოია, რაიკინენი კი... მეოთხეზე. რალფი არ აპირებდა დანარჩენების მსგავსად „ბოქსში" შევლას, ამიტომაც იყო, რომ მისი უპირატესობა კიმი რაიკინენთან 21-ე წრეზე 21,3 წამს შეადგენდა, შემდეგ ველარ გარისკა, „ბოქსში" შეიარა და ტრასას უკვე მეორე პოზიციაზე მყოფი დაუბრუნდა. 23-ე წრისათვის პირველი სამეული ასე გამოიყურებოდა: რაიკინენი, რალფ შუმახერი, მიხაელ შუმახერი. რალფი თანდათან უახლოვდებოდა ლიდერს. 26-ე წრეზე კიმი რაიკინენის მანქანის ძრავა მწყობრიდან გამოვიდა და ავტოპილოტი იძულებული გახდა, რბოლა შეეწყვიტა... ის სინანულით გასცქეროდა ტრასაზე პირველ პოზიციაზე მქროლავ რალფ შუმახერს, რომლის დაწევასაც ამაოდ ცდილობდა მიხაელ შუმახერი. ეს უკანასკნელი 44-ე წუთზე მონტოიას მანქანას შეეჯახა და... მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა. რბოლის დასრულებამდე ოთხი წრით ადრე არავის ეპარებოდა ეჭვი რალფ შუმახერის გამარჯვებაში და ასეც მოხდა. უმცროსი შუმახერი ფინიშთან პირველი მიიჭრა, მეორე ადგილზე გავიდა მონტოია, მესამეზე — ბარიკელო, მიხაელ შუმახერი კი მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა.

შემდეგი რბოლა ჩატარდება საფრანგეთში, ავტოდრომ „მანი-კურზე".

გაგაცნობთ „ევროპის გრან-პრის" ტექნიკურ შედეგებს პირველი სამეულისათვის: 1. რ. შუმახერი („უილიამსი") — 1:34.43,66, 2. ხ.პ: მონტოია („უილიამსი") — 1:35.00,443, 3. რ. ბარიკელო („ფერარი") — 1:35.23, 395.



# დონ კინგი: მატჩ-რევანში უნდა შედგეს!

ცნობილმა ამერიკელმა პრომოუტერმა დონ კინგმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ლენოქს ლიუისსა და ვიტალი კლიჩკოს შორის მატჩ-რევანში აუცილებლად უნდა გაიმართოს. „ახლა ლიუისი ჩემპიონია, მაგრამ კლიჩკოსაც აქვს რეალური შანსი, მოიპოვოს ეს ტიტული. საერთოდ, ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოებს ძალიან კარგი მომავალი აქვთ. მე მათ დავეხმარები თავიანთი პოტენციალის სრულად წარმოჩინებაში. ვიტალიმ უკვე დაიპყრო კრივის ბევრი მოყვარულის გული, მათ შორის ამერიკელთა ნაწილის სიმპათიებიც დაიმსახურა. მთელი ამერიკის დასაპყრობად კი მას მხოლოდ ერთი გზა აქვს — უნდა დაამარცხოს ლიუისი", — ამბობს დონ კინგი.

შეგახსენებთ, რომ 72 წლის დონ კინგი, 40 წლის განმავლობაში იყო ბევრი ცნობილი მოკრივის პრომოუტერი. მისი კლიენტები იყვნენ მაიკ ტაისონი, ლენოქს ლიუისი, ევანდერ ჰოლიფილდი.

# უიმბლდონზე რუსებმა გაიბრწყინეს

უიმბლდონის ქალთა ტურნირის მეექვსე დღის ღირსშესანიშნაობა ის იყო, რომ ერთბაშად ოთხმა რუსმა ჩოგბურთელმა გადალახა მესამე წრე. ტურნირის „აღმოჩენამ" მარია შარაპოვამ 6:4, 6:4 დაამარცხა დოკიჩი. კუზნეცოვამ — ლუა 6:1, 6:2, მისკინამ — კონჩიტა მარტინესი 6:3, 6:3. ხოლო დემენტიევამ — კაპროში 6:3, 6:1. ამავე წრეში პირველ ნომრად განთესილმა სერენა უილიამსმა გრენვილთან „გაისეირნა" — 6:3, 6:1, ხოლო მესამე ნომრად განთესილმა ჟიუსტინ ანენ-არდანმა მოლიკს სძლია 6:4, 6:4.

ვაჟთა შეჯიბრებაში ანდრე აგასს, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა ელ აინაუს დამარცხება, — ამერიკელმა ჩოგბურთელმა მიზანს 4 პარტიაში მიაღწია — 5:7, 6:4, 7:6, 7:6. ნალბანდინმა 6:4, 5:7, 6:4, 6:2 მოუგო კუჩერას. სხვა მატჩები: ფერერო — სარგსიანი 6:4, 6:4, 2:6, 6:4, ფილიპუსისი — სტეპანეკი 4:6, 7:6, 6:4, 7:6, გროჟანი — მუდი 6:7, 6:2, 6:4, 6:4. ჰენმანი — სოდერლინგი 6:3, 6:1, 6:4.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**1 ივლისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი*** ჩოგბურთი. ვაჟთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი „ბორჯომის თასი" (14.00), ***რუსთავი-2.*** ჩოგბურთი. 2003 წ. „უიმბლდონის ჩემპიონატი". მიმოხილვა (10.20), მეოთხედფინალი ქალთა შორის (17.30, 18.20), გაგრძელება (01.00), მიმოხილვა (02.00), ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (10.35), ***ევრიკა.*** „სპორტის სამყარო" (21.30), ***მე-9 არხი.*** „მსოფლიო რაგბი" (14.50), *НТВ плюс футбол.* „გავიხსენოთ განვლილი სეზონი". ინგლისის ჩემპიონატი. „არსენალი" — „ლივერპული" (16.15), გერმანიის ჩემპიონატი „ჰამბურგი" — „ვერდერი" (20.00), იტალიის ჩემპიონატი. „რომა" — „იუვენტუსი" (23.30), „ჩემპიონთა ლიგის არქივი". 99-00 სეზონი. საკლასიფიკაციო რაუნდის საპასუხო მატჩი. „მიოლდე" — რუსეთის ცსკა (18.00), „ფიორენტინა" — „არსენალი" (21.45). ***НТВ плюс спорт*** ჩოგბურთი: უიმბლდონის ტურნირი (11.45) ქალთა მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია (16.55), *EUROSPORT.* ფეხბურთი. მსოფლიო თასის ლეგენდები. არგენტინა (12.00), სანაპირო ფრენბურთი. ფინალი. ქალები (15.00), კრივი. მძიმე წონოსნები (17.30), მძლეოსნობა. პირდაპირი ტრანსლაცია. ლოზანა (23.00), კრივი მძიმეწონოსნები, პ. აურინო — დ. კრისტიანსენი (1.45).

**2 ივლისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩოგბურთი. ვაჟთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი „ბორჯომის თასი" (14.00), ***რუსთავი-2.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი: მიმოხილვა (10.20), ვაჟთა მეოთხედფინალები (17.30, 18.20), მეოთხედფინალური შეხვედრების გაგრძელება (01.00), მიმოხილვა (02.00), ***ევრიკა.*** „სპორტის სამყარო" (21.30), *НТВ плюс футбол.* „გავიხსენოთ განვლილი სეზონი". იტალიის ჩემპიონატი „რომა" — „იუვენტუსი" (13.15), გერმანიის ჩემპიონატი. „ჰამბურგი" — „ვერდერი" (16.45), ესპანეთის ჩემპიონატი. „ბარსელონა" — „ატლეტიკო" (19.35), „ჩემპიონთა ლიგის არქივი". 99-00 სეზონი. „ფიორენტინა" — „არსენალი" (15.00), „ვილემ II" — რუსეთის „სპარტაკი" (21.15), ამხანაგური მატჩი მსოფლიოს ვარსკვლავთა მონაწილეობით: ფიგუ, ბექჰემი, ზიდანი, რონალდინიო და სხვა, პირდაპირი ტრანსლაცია პორტუგალიიდან (22.55) ***НТВ плюс спорт*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ქალები. მეოთხედფინალები (11.45), ვაჟთა მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია (16.55), ცურვა. საერთაშორისო შეჯიბრება „მოსკოვის თასი" (0.00), *EUROSPORT.* სანაპირო ფრენბურთი. ვაჟები, ნახევარფინალი (15.00), საცხენოსნო სპორტი. ეროვნებათა თასი (23.00).

**3 ივლისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩოგბურთი. თბილისის საერთაშორისო ტურნირი „ბორჯომის თასი" (14.00), ჩოგბურთი. უიმბლდონის ჩემპიონატი: მიმოხილვა (10.20), ქალთა ნახევარფინალი (17.30, 18.20), ნახევარფინალური შეხვედრების გაგრძელება (01.00), მიმოხილვა (02.00). ***ევრიკა.*** „სპორტის სამყარო" (19.30), ***იმედი.*** სპორტული პროგრამა „ესტაფეტა" (20.30), ***НТВ плюс футбол.*** ლიბერტადორესის თასი. ფინალის მეორე მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია (5.35, 13.15, 21.20), ამხანაგური მატჩი მსოფლიოს ვარსკვლავთა მონაწილეობით: ფიგუ, ბექჰემი, ზიდანი, რონალდო და სხვ. (15.45), „ჩემპიონთა ლიგის არქივი". 99-00 სეზონი. „ვილემ II — რუსეთის „სპარტაკი" (17.30), „ჩელსი" — „მილანი" (23.35), „ფუტბოლ მუნდიალი" (23.05), ***НТВ плюс спорт*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ვაჟები. მეოთხედფინალები (11.45), მეოთხედფინალები. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია (16.55), საცხენოსნო სპორტი. დაბრკოლებათა გადალახვა „როსიას" პრიზზე (15.40), წრიული ავტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი სპორტული ავტომანქანებით (1.30). *EUROSPORT.* საცხენოსნო სპორტი. ეროვნებათა თასი (12.00), ფეხბურთი: მსოფლიო თასი (13.00), კონფედერაციის თასი. სპეციალური მიმოხილვა (14.00), ლიბერტადორესის თასი. ფინალი (20.00), უეფას თასი, სეზონის მიმოხილვა (22.00), კრივი. ევროპის ჩემპიონატი: დ. ჰაუსლერი — რ. კანფუ (0.00), ტ. ჰოფანი — ჰ. აკინვანდე (1.00), ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი (2.15).



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 75 წლისა გარდაიცვალა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ალპინიზმისა და სათხილამურო სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი მ. შალუტაშვილი.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბორჯომში ფიზაღზრდის მასწავლებლად. 1958 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მშობლიურ ინსტიტუტში მოღვაწეობდა. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, კათედრის თანამშრომლები ღრმა სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



## კროსვორდი № 49

**თარაზულად:** 1. ტანვარჯიშული იარაღი, 6. „ვიტ-ჯორჯიას" მეტოქე გუნდი „ინტერტოტოს" შესარჩევ ეტაპზე, 7. „ქართველი ფეოლა" კინოფილმიდან, 10. შავიზღვისპირა კურორტი, 11. ნბა-ს კლუბი, 12. ლეგენდარული ჩეხი ჰოკეისტი, 13. ვ. სანეევის მწვრთნელი, 16. გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი, 19. თურქეთის საფეხბურთო კლუბი, 21. წარსულში ცნობილი იუგოსლაველი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 22. საფარიკაო იარაღი.

**შვეულად:** 1. ლეგენდარული ირანელი ფალავანი, ოლიმპიური ჩემპიონი (1956), 2. ცნობილი რუმინელი ფეხბურთელი, 3. ნბა-ს ქართველი კალათბურთელი, 4. ცნობილი ამერიკელი სამთომოთხილამურე, მსოფლიო ჩემპიონი (1970), ოლიმპიური პრიზიორი (1964), 5. ტანვარჯიშული ჩამოსაკიდი ინვენტარი, 8. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 9. ალბანეთის ნაკრების ფეხბურთელი, 12. ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელი, 13. აღმოსავლური ორთაბრძოლების სახეობა, 14. ბილიარდის ჯოხი, 15. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, 16. იაზონის ხომალდი, 17. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 1937-1938 წლებში გახდა უიმბლდონის გამარჯვებული, 18. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი.

**შეადგინა ნოდარ ჯაჯვაძემ**

## კროსვორდი №48-ის პასუხები:

**თარაზულად:** 1. ოწილი, 6, პა, 7. ტროფიმოვი, 9. ძუა, 11. „აზოტი", 12. ლალა, 13. დვალი, 14. „ნაპოლი", 17. ბადრო, 18. შენგელია, 21. „შევარდენი", 22. ტირი.

**შვეულად:** 1. ორძელი, 2. ისა, 3. იტო, 4. გო, 5. ბორზოვი, 6. პისტოლეტი, 8. ფეოლა, 10. კასპაროვი, 15. ზონინი, 16. ნბა, 18. შიდო, 19. ლიპი 20. აუზი.

## საჭადრაკო ამოცანა

ა. ბალიცკი
(1901წ.)



**შამათი 4 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. მფf8!
1. ... d5 2. ed მფf5 3. მფf7 მფe5
4. მფg6 მფd6 5. კh6 მფe7 6. კf8X
5. ...... მფe5 6. კf4X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com